

ავთანდილ ოქროსცვარიძე  
მოკლე ავტობიოგრაფია (CV)  
2024

დაბადების თარიღი: 16.02.1956;  
ეროვნება: ქართველი;  
მოქალაქეობა: საქართველო  
ოჯახური მდგომარეობა: მეუღლე და ერთი ვაჟი;  
მისამართი: ბოხუას ქ. #5, ბ. 96, თბილისი

**კვალიფიკაცია**

1995 წ. გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;  
1987 წ. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;  
1978 წ. სასარგებლო წამარხების ძებნა-ძიების ინჟინერ-გეოლოგი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**დისერტაციები**

საკანდიდატო: აფხაზეთის პალეოზოოური გრანიტებისა და მიგმატიტების პეტროლოგია;  
სადოქტორო: კავკასიონის ჰერცინული გრანიტორიდული სერიების პეტროლოგია.

**სამუშაო გამოცდილება**

2022 წ - დღემდე: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი;  
2014- 2022 წწ.: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორი;  
2011 წ. -დღემდე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტის მრჩეველი;  
2011-2018 წწ.: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის მეცნიერებათა შემსწავლელი ინსტიტუტის გეოლოგიის განყოფილების გამგე;  
2006-2011 წწ.: სამთო კორპორაცია „ოქროს საწმისის“ მთავარი გეოლოგი;  
2005-2006 წწ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.  
1996-2006 წწ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.  
1992 -1996 წწ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

**1988-1989 წწ.:** ჩეხოსლოვაკიაში მომუშავე საბჭოთა კავშირის გეოლოგიური სამუშაო ჯგუფის წევრი;

**1987-1992 წწ.:** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

**1979 – 1987 წწ.:** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

### **სამეცნიერო ინტერესის სფერო**

პლუტონური მაგმატიზმი და კონტინენტური ქერქის ევოლუცია; ოროგენული მაგმატიზმი და მეტალოგენეზისი; კოლიზიური ზონების ვულკანიზმი; მანტიურ-ქერქული ურთიერთმოქმედება; უნიკალური გეომემკვიდრეობის კვლევა და დაცვა.

### **პედაგოგიური აქტიურობა**

**2011 წლიდან -დღემდე:** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე კითხულობს ლექციებს შემდეგ დისციპლინებში: 1- დედამიწა და თანამედროვე ცივილიზაციის სასიცოცხლო რესურსები; 2- დედამიწის ქერქის ქანები; 3- პეტროლოგია; 4-გეოქიმია; 5- იზოტოპური გეოლოგიის საფუძვლები; 6- ოროგენეზისი და ოროგენული პროცესები; 7-კავკასიის გეოლოგია;

**2006--2007 წწ:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს გეოქიმიაში;

**1996- 2000 წწ:** საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს პეტროლოგიაში.

მისი ხელმძღვანელობით დაცულია ორი საკანდიდატო დისერტაცია, აკადემიური დოქტორისა და 22 სამაგისტრო ნაშრომი.

### **პროფესიული კავშირების წევრობა**

არის რამოდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო გაერთიანების წევრი, მათ შორის: „ევროპის გრანტიტოლოგების“ (EG), „ევროპის გეომეცნიერთა კავშირის“ (EGU), „ევროპის გეოქიმიკოსთა ასოციაციის“ (EGA), „თორიუმის ენერჯის ალიანსის“ (TEA) და „მდგრადი განვითარების საერთაშორისო საზოგადოების“ (TSDS).

### **ბოლო წლების მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროექტები**

**2008-2011 წწ:** NATO-ს პროექტი მეცნიერება მშვიდობისათვის: „ვულკანური საშიშროებანი და დაცვითი ღონისძიებები კასპიისა ნავთობგაზსადენების საქართველოს მონაკვეთზე“ კორდინატორი არა ნატოს ქვეყნებიდან.

**2009-2011 წწ.:** UNESCO-ს „ლითოსფეროს საერთაშორისო პროექტი (ILP) - გამოწვევა #2“. პროექტის მონაწილე.

**2010-2012 წწ.:** რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური პროექტი: „ოქროს პოტენციალის შეფასება კავკასიონის კახეთის სეგმენტში“. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

**2012- 2016 წწ.:** ტაივანის ნაციონალური უნივერსიტეტის საერთაშორისო პროექტი „აბრეშუმის გზა - 2: „ტიბეტი/ჰიმალაების - კავკასია/ირანის კოლიზიური ოროგენების შედარებითი ანალიზი“. პროექტის კოორდინატორი საქართველოდან.

**2014 წ.:** კავკასიის გარემოს დაცვის ორგანიზაციის (CENN) პროექტი: „საქართველოს სამთო მრეწველობის განვითარების ზოგადი დინამიკა და მისი დღევანდელი მდგომარეობა“ – პროექტის შემსრულებელი.

**2013-2018 წწ.:** UNESCO-ს გეოლოგიური მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირის (IUGS) პროექტი #610 „კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე: გარემოს ცვლილებები და ადამიანის რეაქციები მეოთხეულში“. კოორდინატორი საქართველოს მხრიდან.

**2019-2022 წწ.:** რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტი „თორიუმი-მომავლის ენერჯია: მისი მადანგამოვლინებებისა და ფორმირების გეოლოგიური ფაქტორები კვლევა საქართველოში“. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

**2019-2020 წწ.:** ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის (კანადა) მინერალური საბადოების კვლევის ცენტრისა პროექტი „აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სარტყელის შიგნით: პლუტონების მეტალოგენური პოტენციალი“. პროექტის ხელმძღვანელი საქართველოს მხრიდან.

**2020-2023 წწ.:** ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირის პროექტი: „თანამედროვე ვულკანური ამოფრქვევები: პლანეტარული პრობლემებიდან - საჯარო განათლებამდე“. პროექტის მონაწილე.

**2020-2023 წწ.:** ფირატის უნივერსიტეტის (ელაზიგი, თურქეთი) პროექტი: „თურქეთის აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთით მაგმური ქანების გეოქიმია და გეოქრონოლოგია“. პროექტის მონაწილე.

**2019-2024 წწ.:** რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და თურქეთის ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს ერთობლივი პროექტი „ერზურუმ-ყარსისა (თურქეთი) და სამცხე-ჯავახეთის (საქართველო) ზეგნების გვიანკაინოზოური მაგმატიზმის პეტროგენეზის, გეოდინამიკური რეჟიმისა და ოქროს მინერალიზაციის პოტენციალის კვლევა საზღვრების გარეშე“. პროექტის ხელმძღვანელი საქართველოს მხრიდან.

**2022-2025 წწ.:** რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტი: „საქართველოს (კავკასიის) მნიშვნელოვანი გეომემკვიდრეობის კვლევა იუნესკოს გლობალური გეოპარკების ქსელში გასაწევრიანებლად. პროექტის კოორდინატორი.

## აღმოჩენები

**1997 წ.:** აღმოაჩინა ჰოკრილა-აჩაპარას ოქრო-ანთიმონიტის მადანგამოვლინება (აფხაზეთი-ზემო სვანეთი) მდ. ჰოკრილასა და საკენის აჩაპარას ხეობები; საქართველოს გეოლოგიური დეპარტამენტის მოწმობა # 2, 24.02.1997;

**2012 წ.:** აღმოაჩინა თორიუმისა მადანგამოვლინება მდ. სტორის ხეობში, კახეთის კავკასიონი; საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტი, მოწმობა #4988.

**2022 წ.:** აღმოაჩინა შხარის ურანისა და თორიუმის მადანგამოვლინება (ურანიიტის) მდ. ენგურის სათავეებში, კავკასიონის მთავარი ქედი. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საქპატენტი, მოწმობა #9204.

## ჯილდოები და პრემიები

**2008 წ.:** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ალ. ჯანელიძის სახელობითი პრემია მონოგრაფიისთვის: „კავკასიონის ჰერცინიული გრანიტოიდური მაგმატიზმი“.

**2015 წ.:** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჯილდო მეცნიერებაში წარმატებებისათვის, იუნესკოს მეცნიერებათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

**2016 წ.:** იუნესკოს გეოლოგიური მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირის (IUGS) ჯილდო, საქართველოში ამ ორგანიზაციის #610 პროექტის („კასპის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე: გარემოს ცვლილებები და ადამიანის რეაქციები მეოთხეულში:) საველე შეკრებებისა და სამეცნიერო სესიების წარმატებით ორგანიზებისათვის 2013 და 2016 წლებში საქართველოში.

**2018 წ.:** საქართველოს პრეზიდენტის ჯილდო, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის იუბილეთ დაკავშირებული პუბლიკაციისათვის: „დამოუკიდებლობიდან-თავისუფლებისაკენ - საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წელი“.

**2021 წ.:** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ალ. თვალჭრელიძის სახელობითი პრემია, გამომცემლობა „შპრინგერში“ გამოქვეყნებული წიგნისთვის: „საქართველოს გეოტურისტული პოტენციალი, კავკასია“;

## პუბლიკაციები

ა. ოქროსცვარიძე ავტორია 197 სამეცნიერო ნაშრომის; მათ შორის 1 მონოგრაფიაა, 7 წიგნია, დ 70-ზე მეტი სტატია დაბეჭდილია მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში.

## სამეცნიერო პლატფორმების მონაცემები

**ReserchGate:** წაკითხვა - 33574; სამეცნიერო ინტერესები 521,2; ციტირება -397; H ინდექსი -11.

**GoogleScholar:** ციტირება - 341, H ინდექსი -11; i10 ინდექსი - 11.

